სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების

პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის **მოთხოვნებს. ინდიკატორი 1.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც არის სქემატური სახით. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები დარეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. **ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც არის საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის განაწილების ეფექტური საშუალება. სტრუქტურული ერთეულებისა და თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის ფუნქციები მკაფიოა და გამჭვირვალე. დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახულია მათი ფუნქციები. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის გადანაწლებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ხელწ უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის სტრუქტურა/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

2.ხელშეკრულებები

3.სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის დირექციამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც არის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული. პერსონალის მართვის პროცესები ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას, სკოლის შინაგანაწესს, შრომით

ხელშეკრულებებს. შრომით ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი თითოეული თანამშრომლის ფუნქცია მოვალეობა. საგანმანათლებლო პროცესების რეგულირებისთვის სკოლაში შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო ცხრილი. მასწავლებელთა მორიგების ცხრილი, სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და მიზნები. იგეგმება სკოლის ახალი მისიისა და ხედვის შემუშავება, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესმა. ახალი სტრატეგიული და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, სკოლა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის დირექციამ წარმოადგინა „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. დოკუმენტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას: დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა. **ინდიკატორი 3.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მიღება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლას დამტკიცებული აქვს ვაკანტურ თანამდებობაზე კადრების შერჩევის წესი. სკოლაში ახალი კადრი შერჩეულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მიღება ემყარება სკოლის საჭიროებებს. სკოლა ვაკანსიის გამოცხადებისას ეყრდნობა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებასა და შრომის კოდექსს. კონკრეტული ვაკანსიისთვის კი შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კონკურსების გამოცხადების, ჩატარებისა და გასაჩივრების წესი და ვაკანსიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის გამჭვირვალე. გარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე https://teacherjobs.ge/, ხოლო შიდა კონკურსი შესახებ - სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ 2020 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომლების პირად საქმეში ინახება ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. **ინდიკატორი 3.1.2.3. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის დირექციამ წარმოადგინა საშტატო ნუსხა, თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთკარი, 20 მასწავლებელი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, ცეცხლფარეში, ექთანი. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები. სტრუქტურულ ერთეულებში მაქსიმალურად არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, ყველა სტრუქტურა გადაწყვეტილებებს იღებს გუნდურად და მასში გაერთიანებული თითოეული წევრი მაქსიმალურად მონაწილეობს კონკრეტული აქტივობებისა და პროცედურების განხორციელებაში. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ხდება სტრატეგიული მნიშვნელობის

დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი) ერთობლივად შემუშავება. გუნდური მუშაობასა და მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს ის, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 3.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მადლობის გამოცხადება, სიგელების გადაცემა, სოციალურ ქსელში გამოქვეყნება არის ხშირი პრაქტიკა წარამტებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მიზნით. წარმატებისათვის. სკოლის ფოიეში არის წარმატებების ამსახველი სტენდი. ინდიკატორი 3.1.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.2.1.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.პერსონალის მართვის პოლიტიკა

2.ადაპტაციის მექანიზმი

3.მასწავლებლის წახალისების ამსახველი დოკუმენტაცია (ბრძანება, სიგელი)

4.შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რის შემდეგაც ხდება უკუკავშირის მიწოდება. საგაკვეთილო პროცესზე დასწრება ორიენტირებულია თითოეული მასწავლებლის მხარდაჭერაზე. უკუკავშირიდან გამომდინარე დირექცია მასწავლებლებს სთავაზობს აქტივობებს. **ინდიკატორი 3.2.1.1. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის დირექცია ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. პერსონალს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ტრენინგების შესახებ. სკოლის დირექცია პედაგოგებს ამარაგებს მეთოდური თუ სხვა სახის ლიტერატურით. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, მუდმივი ინტერნეტით და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას ნებისმიერ დროს დაესწრნენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. **ინდიკატორი 3.2.1.3. შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალ თანამშრომელს სკოლის დირექტორი წარადგენს თანამშრომლებთან, აწვდის ინფორმაციას სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და შიდა რეგულაციების შესახებ, აცნობს დაკისრებულ ფუნქციებს და სკოლის ინფრასტრუქტურას. თანამშრომლების ინტეგრაციის წესი განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. **ინდიკატორი 3.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ გამოთქმულ ინიციატივებს და შესაძლებლობის ფარგლებში, ეხმარება პროექტების, კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში, რესურსებით უზრუნველყოფის გზით. **ინდიკატორი 3.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა**
- **ადაპტაციის წესი**
- **მასწავლებლის წახალისების ბრძანება**
- **მასწავლებლის სერტიფიქატი**

- **შინაგანაწესი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

საგმაანათლებლო პროცესების რეგულირებისთვის სკოლაში შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმა, საგაკვეთილო ცხრილი. მასწავლებელთა მორიგების ცხრილი, სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლა ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს: დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში: ხარისხის მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლის მმართველობითი პროცესები: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესები: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესები: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება , კარიერული განვითარება; ყველა პროცესი აღწერილია დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) - ციკლის მიხედვით. **ინდიკატორი 3.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს .დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები(პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი სახდელები. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, მშობლის მიმრთვის საფუძველზე, ატარებს სემესტრულ გამოცდას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული გარემოს ხელშეწყობას. **ინდიკატორი 3.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის დირექციამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც არის გაწერილი პერსონალის უფლება-მოვალეობები. სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებშიც განსაზღვრულია დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. სკოლას შემუშავებულით აქვს პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი რომელიც არეგულირებს დასაქმებულების უფლება მოვალეობებს. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას

განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველსა და აუცილებლობას. **ინდიკატორი 3.3.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ხარისხი უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება**
- **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი**
- **შინაგანაწესი**
- **ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამდებობრივი ფუნქციები;**
- **მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი;**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმი**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში არის ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი პრაქტიკა. საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სასკოლო საზოგადოებას გადაეცემა ინფორმაცია სკოლაში

არსებული რეგულაციების, მშობელთა კრებების, ღია კარის დღეების, ექსკურსიების, სასკოლო ღონისძიებების შესახებ. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელი, ისე ელექტრონული ფოსტა და კითხვარები. **ინდიკატორი 3.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეული წევრის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი. სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კოლეგიური ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლებების სწორი დელეგირება. წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.3.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სამეურვეო საბჭოს ოქმი

2.კლასის დამრიგებლის პორტფოლიო, სადამრიგებლო პროგრამები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება, რომელსაც უზრუნველყოფს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელი პირი. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. გარდა ამისა, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. ყოველდღიურად, სწავლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები ადგენენ

მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. მკაცრად კონტროლდება სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლაც. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრი) და საევაკუაციო გეგმა. სკოლას აქვს სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლაში შექმნლილია მრჩეველთა საბჭო. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. სკოლაში დასაქმებულია ექთანი. დამრიგებელი ამყარებს კომუნიკაციას მშობელთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა არ შეატყობინა დამრიგებელს მოსწავლის გაცდენის შესახებ. სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლის ეზოს აქვს ჭიშკარი, ღობე, მოვლილი ეზო. ხარვეზი: ა)სკოლას არ აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ბრძანებით დამტკიცებული.ბ)სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული გ)სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

რეკომენდაცია:

ა)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 30 დეკემბრამდე) განიხილოს და დაამტკიცოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ბრძანებით.

ბ)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 30 დეკემბრამდე) შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

გ)სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 30 დეკემბრამდე) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

რჩევა:

სასურველია, სკოლამ დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას. ასევე სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების ყველა ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლის ექთანი საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. **ინდიკატორი 3.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე დაცულია **საზოგადოებრივი წესრიგი და** ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება, რომელსაც უზრუნველყოფს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელი პირი. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. სკოლაშიყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. ყოველდღიურად, სწავლის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები ადგენენ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზს. მკაცრად კონტროლდება სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლაც. **ინდიკატორი 3.4.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. დამრიგებლების მიერ რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსთვის დაწესებულია სკოლის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი (სართულებზე, სკოლის ეზოში). **ინდიკატორი 3.4.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში.

რჩევა: სასურველია სკოლამ ბრძანებით დაამტკიცოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი 3.4.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პერსონალური მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი ყავს ბრძანებით გამოყოფილი. პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კლასის ხელმძღვანელები, საჭიროების შემთხვევაში, სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტოებს აქვეყნებენ მშობლების თანხმობით. კლასის კრებებზე არ ხდება კონკრეტული მოსწავლის აკადემიური მოსწრების საჯარო განხილვა. ვიდეო

სათვალთვალო სისტემა განთავსებულია დირექტორის კაბინეტში. ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი არის საქმისმწარმოებელი. **ხარვეზი:** ვიდეო სათვალთვალო სისტემა განთავსებულია დირექტორის კაბინეტში. დირექტორი არ არის ვიდეო სათვალთვალო სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ აღმოფხვრა ხარვეზი. დირექტორის კაბინეტი დაეთმო ვიდეო სათვალთვალო სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირს: საქმისმწარმოებელს. დირექტორის სამუშაო მაგიდა მოეწყო სამასწავლებლოში.

ინდიკატორი 3.4.1.6 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას იცავს კანონით დადგენილი წესით. სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება, მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და მოცულობით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და დაცულია. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. **ინდიკატორი 3.4.1.7 შეესაბამებსა სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელი პირის ბრძანება**
- **ვიდეო სათვალთავლო სისტემაზე პასუხისმგებელი პრირის ბრძანება**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სწავლება მიმდინარეობს ერთ სასწავლო კორპუსში. სკოლას აქვს სპორტული მოედანი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. საკლასო ოთახებში სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის

განსახორციელებლად. გარდა აღნიშნულისა, სკოლაში არის დირექციის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი. რესურს ოთახი და ბიბლიოთკა განთვსებულია ერთ ოთახში. თითოეული ოთახი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. რესურსოთახი აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით ინკლუზიური განათლებისათვის. შექმნილია უსაფრთხო გარემო, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლას აქვს გოგონების, ვაჟების და მასწავლებლების სველი წერტილები. სკოლა აღჭურვილია საჭირო ავეჯით, სკოლის შიგნით მოწყობილია სველი წერტილები, სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას მიეწოდება წყალი, ელექტროენერგია. სკოლას აქვს გათბობა. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

ინდიკატორი 3.5.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებსაც სახლში ნაკლებად აქვთ წვდომა ინტერნეტთან. ამ სივრცეებით სარგებლობა შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესის შემდეგ და შაბათ-კვირასაც, ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტული მოედანი, სადაც ტარდება სხვადასხვა აქტივობები, შეჯიბრებები. სკოლის ბიბლიოთეკა და რესურს ოთახი განლაგებულია ერთ ოთახში. რესურს ოთახში სსსმ მოსწავლეების ყოფნის პერიოდში შეზღუდულია მოსწავლეთათვის ბიბლიოთეკით სარგებლობა.

ხარვეზი: ბიბლიოთეკა არ არის ხელმისაწვლომი საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლამ აღმოფხვრა ხარვეზი. პირველ სართულზე არსებული საკლასო სივრცის გადატიხვრის შედეგად მოაწყო დამოუკიდებელი რესურსოთახი და შესაბამისი რესურსები გადაიტანა აღნიშნულ სივრცეში. შედეგად, ბიბლიოთეკა გათავისუფლდა და სრულად დაუბრუნდა თავის ძირითად ფუნქციას. ამ ცვლილების შედეგად უზრუნველყოფილია როგორც რესურსოთახის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ისე ბიბლიოთეკით თავისუფალი და ეფექტიანი სარგებლობა მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. **ინდიკატორი 3.5.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. იგი აღჭურვილია კომპიუტერით, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით (გაზეთები, ბროშურები). ბიბლიოთეკა ღიაა სწავლის პერიოდში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია სარგებლობა. სკოლამ წარმოადგინა კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი 3.5.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსი, რომელიც დამზადებულია რკინის კარკასისგან. სასკოლო საპირფარეში არის ადაპტირებული და კეთილმოწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ინდიკატორი **3.5.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია, შენობაში. სკოლას აქვს დიდი, ნათელი დერეფნები, რომელიც გამოიყენება საგამოფენოდ და ღონისძიებების ორგანიზებისათვის. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი და კეთილმოწყობილი ეზო. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას. **ინდიკატორი 3.5.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

2.ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას უზრუნველყოს სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტით, კომპიუტერებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 4 პერსონალური კომპიუტერი, 1 ლეპტოპი. სკოლის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 3 კომპიუტერი. სკოლის ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ეხმარება საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ წარმართვაში, სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. მასწავლებლები იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი 3.6.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შუძლიათ ისარგებლონ IT ლაბორატორიით გაკვეთილების დასრულების შემდეგ. სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნებისთვის ციფრულ ტექნიკას. მაგ: პრეზენტაციებისა და კონფერენციების მოსამზადებლად. **ინდიკატორი 3.6.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება

2.კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.ინვენტარიზაციის მასალები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისმწარმოებლის წესი. საქმისმწარმოებლის პოზიციაზე დასაქმებული პირი უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას და აღრიცხვას საქმისწარმოების წესის შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით. ბრძანებები ტარდება სპეციალურ ჟურნალებში. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებების ჟურნალები. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. ყველა შემოსული დოკუმენტი იტვირთება eflow-ს დოკუმენტბრუნვის სისტემაში. **ინდიკატორი 3.6.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - სკოლა იყენებს ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემას (E-school.emis.ge). სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow). როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის

მიზნებისათვის სკოლა იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა office 365. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.6.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, მონაცემები მასწავლებელთა დატვირთვის შესახებ, საათობრივი ბადე, კლასის სიები, დამრიგებლები, საგნების განაწილება. **ინდიკატორი 3.6.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის და ღებულობს, ანგარიშებსა და უკუკავშირს, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უგზავნის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში, ასევე 20 ნოემბრამდე შესყიდვების გეგმას არეგისტრირებს spa.ge-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე. ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი 3.6.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
2. საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge, რომელიც გამოიყენება საზოგადოების ინფორმირებისათვის. სკოლა იყენებს ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის სკოლის ელექტრონული ფოსტას. სკოლის ვებ გვერდია: https://skolebi.emis.ge/schools/1740?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

ინდიკატორი 3.6.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს ვებ გვერდი და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის დირქციასთან შეთანხმებული, სანდო და უტყუარი. **ინდიკატორი 3.6.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი. ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია შემდეგი ინფორამცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის ვებ გვერდი

2. სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელიც სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა გასული წლის დეკემბერში. სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა, რომლის კორექტირებაც ხდება საჭიროებს შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით, ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი; დირექტორის ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი 3.7.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ბიუჯეტს შეიმუშავებს შემოსავლებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, რაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების წევრებთან ზეპირი კომუნიკაციის გზით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია გასულ წლებში განხორციელებული შესყიდვების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით, წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე. **ინდიკატორი 3.7.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

2. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

3. ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ

4.შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მლაშეს საჯარო სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 8 სექტემბერს. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები და შესაბამისი რეგულაციები. შინაგანაწესი ხელს უწყობს მოსწავლეთათვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას და განსაზღვრავს როგორც მათ უფლებებს, ასევე პასუხისმგებლობებს. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებს. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის დისციპლინურ კომიტეტს სხდომა არ ჩაუტარებია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია ვალდებულება, უზრუნველყოს შინაგანაწესის გაცნობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლებისთვის. დამრიგებლები სისტემატურად აცნობენ შინაგანაწესის ძირითად პრინციპებს მშობლებს მშობელთა კრებებზე, ხოლო მოსწავლეებს – სასწავლო წლის დასაწყისშივე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მოიცავს ყველა არსებით პირობას, მათ შორის: ხელშეკრულების ნომერსა და თარიღს, მხარეთა იდენტიფიკაციის მონაცემებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სასწავლო და დასვენების დროს, უქმე დღეებს, პასუხისმგებლობის ფორმებსა და დამატებით პირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- მშობელთა კრების ოქმი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცესებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი — საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციაა მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა და შესაბამისი მონაცემების ასახვა სკოლის ელექტრონულ ბაზაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში აღნიშნული პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები და ადგილზე დათვალიერდა მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემები, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ სკოლა თანმიმდევრულად და კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ახორციელებს ყველა შესაბამის პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას სკოლის შინაგანაწესის შესახებ. ასევე, მშობლები ინფორმირებულნი არიან მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შესაძლო შედეგებზე. დამრიგებელი ვალდებულია რეგულარულად შეხვდეს მშობლებს და მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და დასწრების შესახებ. მშობლებთან

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პარასკევი განსაზღვრულია როგორც „მშობლების დღე“, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია შიდა პოლიტიკის დოკუმენტები, მათ შორის შინაგანაწესი და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ხოლო დამატებით საკომუნიკაციო არხად აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელი, სადაც სისტემატურად ქვეყნდება სასკოლო სიახლეები. საინფორმაციო დაფაზე ხელმისაწვდომია ძირითადი ინფორმაცია, მათ შორის დღის რეჟიმი და საკონტაქტო მონაცემები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების, ასევე სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მონიტორინგის საფუძველზე დგინდება, რომ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო, ზუსტი, დროულად განახლებული და თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაცია არ შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს და სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ნდობის მაღალ ხარისხს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;

- ვებ-გვერდის შესაბამისი გვერდი/სოციალური ქსელი;
- შინაგანაწესი.
- მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლელიც დამტკიცებულია სსიპ

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მლაშეს საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 5 თებერვალი N 25 ბრძანებით. დოკუმენტის მიზანია მოსწავლეთა ეფექტიანი ინტეგრაცია სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს მოსწავლეებს სასკოლო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციის დამყარებასა და საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართულობას. მექანიზმი ვრცელდება პირველკლასელებზე, მობილობით გადმოსულ მოსწავლეებზე, აგრეთვე იმ მოსწავლეებზე, რომელთაც ენობრივი ბარიერის ან სხვა ფაქტორების გამო აქვთ ადაპტაციის სირთულეები. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს დეზადაპტაციის ნიშნებსა და მათზე რეაგირების შესაბამის პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს დროულ და მიზნობრივ მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი იწყება სასწავლო წლის დაწყებამდე და მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ასპექტებს. სკოლის მიერ შემუშავებული ადაპტაციის წესის შესაბამისად, დამრიგებელი აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინტეგრაციას სასკოლო გარემოში და წაახალისებს თანაკლასელებს ახალ მოსწავლეებთან კომუნიკაციის დამყარებისკენ. ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს მიზნობრივ აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა ურთიერთგაცნობასა და თანამშრომლობის განვითარებაზე. პირველივე სადამრიგებლო საათი ეთმობა მოსწავლეთა გაცნობა-დაახლოებას. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მექანიზმი ეფექტიანად ხორციელდება პრაქტიკაში — მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ახლად ჩარიცხული მოსწავლეები სწრაფად და მარტივად ადაპტირდებიან, რაც განპირობებულია როგორც დამრიგებლების, ისე საგნის მასწავლებლების მხარდაჭერით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის სისტემურ განხორციელებას. მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან, განმარტავენ რთულ საკითხებს და უზრუნველყოფენ დამატებით

კონსულტაციებს. სკოლის დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არ დაფიქსირებულა ექსტერნის, საშემოდგომო ან ნიშნის ამაღლების გამოცდის საჭიროება. მოსწავლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ყოველთვის მზად არიან დახმარებისთვის და განმარტავენ გაუგებარ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დადგენილ ვადებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლეებს დროულად ეძლევათ დახმარება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მობილობა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურები. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლა ოპერატიულად რეაგირებს წერილობით განცხადებებზე და უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

დამატებითი და არაფორმალური აქტივობების ხელშეწყობა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. აღნიშნული მიმართულებით სკოლა უზრუნველყოფს სათანადო პირობების შექმნას და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობას. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებიც ინიცირებულია როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მიერ. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით, განხორციელებულია არაერთი პროექტი, ექსკურსია, ინტელექტუალური აქტივობა.

სკოლის სივრცეში წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ინტერვიუების პროცესში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ინარჩუნებს მუდმივ კომუნიკაციას მშობლებთან და მოსწავლეებთან, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებას მიწოდებული მომსახურებების შესახებ. არსებული პრაქტიკით, უკუკავშირი ძირითადად ზეპირი ფორმით გროვდება და გამოიყენება მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, აღნიშნულ პროცესს ნაკლებად აქვს სისტემური ხასიათი, რაც საჭიროებს დამატებით სტრუქტურირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

რჩევა: სასურველია, სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ განსაზღვროს უკუკავშირის მიღების მექანიზმები, პერიოდულობა და გამოყენების პროცედურები. სასურველია ჩამოყალიბდეს ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და სკოლის პერსონალისგან მიღებული უკუკავშირის სისტემურ შეგროვებასა და ანალიზს, ასევე ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- შინაგანაწესი

- წარმოდგენილი პროექტების აღწერები/ფოტომასალა
- თვითმმართველობის ოქმები.
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. 2024 წლის 29 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ქმნის დამატებით შესაძლებლობებს, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებასა და საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სადამრიგებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში სისტემატურად ტარდება აქტივობები პროფესიული ცნობიერების ამაღლების მიზნით. მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სადამრიგებლო საათებზე პედაგოგები განიხილავენ სხვადასხვა პროფესიას და ეხმარებიან მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე, სააღმზრდელო საათები აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთათვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ და ხელს უწყობენ მათი ინტერესებისა და პროფესიული მისწრაფებების გამოკვეთას. აღნიშნული პროცესში უზრუნველყოფილია ინფორმაციის სანდოობა და აქტუალობა, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინფორმირებული არჩევანის ფორმირებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა აცნობიერებს უკუკავშირის მნიშვნელობას და იყენებს მას მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა ამ ეტაპზე შეფასების შედეგების ანალიზი ძირითადად ეფუძნება ზეპირ უკუკავშირს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები, თუმცა აღნიშნულ ინსტრუმენტებში არ არის გათვალისწინებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კომპონენტი. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით მონაცემთა სისტემური შეგროვება და ანალიზი საჭიროებს გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომსახურების ხარისხის უფრო მიზნობრივი გაუმჯობესება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

რჩევა: სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს მიზნობრივი კვლევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზი უზრუნველყოფს სერვისის ეფექტიანობის შეფასებას,

საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას, რაც საბოლოოდ გააძლიერებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის ანგარიშებითა და პორტფოლიოებით;
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალებით;
- მემორანდუმი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან.
- მოსწავლის/მშობლის კითხვარები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის პროცედურები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესები. ასევე განსაზღვრულია კონფიდენციალურობისა და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები ყველა ჩართული მხარის მიმართ. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები, მათ შორის ისგ-ის შედგენის პრინციპები,

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების, დასწრებისა და გაცდენების აღრიცხვის წესები. დოკუმენტით ასევე რეგულირდება შინ სწავლების პროცესი და მოსწავლეთა წახალისების მექანიზმები. წარმოდგენილია ისგ-ის ნიმუშიც. სკოლაში ფუნქციონირებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნებს და გასცემს რეკომენდაციებს პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციების შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი გეგმავს შესაბამის აქტივობებს და ახორციელებს კოორდინირებულ მუშაობას. გუნდი მუდმივ კომუნიკაციას ინარჩუნებს პედაგოგებთან და ერთობლივად განიხილავს წლის სამუშაო გეგმას, რის საფუძველზეც მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მაქსიმალურად მორგებული თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზი და ერთობლივი დაგეგმვა. პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი — საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები, მშობლები და სპეციალური მასწავლებლები. სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს სირთულეების იდენტიფიცირებას, აძლევს რეკომენდაციებს საგნის მასწავლებლებს და მათთან თანამშრომლობით იყენებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებს (ადაპტირებული ტექსტები, ბარათები, ვიზუალური მასალები და სხვ.). სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლის ქცევაზე სისტემური დაკვირვება და ჩანაწერების ანალიზი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ქცევის მართვის ინდივიდუალური გეგმა. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა განვითარების ეფექტიან მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ისგ ჯგუფის ოქმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ადაპტაციის წესი
- შიდა მონიტორიგის დასკვნა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების სერვისი, რომელიც მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული მომსახურება უზრუნველყოფილია შესაბამისი რეგულაციების დაცვით და ემსახურება მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში მოქმედი ერთადერთი დამატებითი სერვისია მოსწავლეთა ტრანსპორტირება. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ სურვილი და საჭიროება. მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო და ორგანიზებულ გადაადგილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ტრანსპორტირების სერვისი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამის ფარგლებში და უზრუნველყოფილია მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. აღნიშნული სერვისი

აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
- დოკუმენტი - „მლაშეს საჯარო სკოლის ტრანსპორტირების უსაფრთხოების წესები“
- ტრანსპორტირების ტაბელები
- ტრანსპორტირების დროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

□□□□□□□□□ 2	□□□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□□□ *(□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□)*
□□□□□□□ □□□□□□□□□□ (დაწყებითი საფეხური)	■□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□
კომპონენტი 2.2	■ □□□□□□□□□□□

კურიკულუმის განხორციელება	☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
[illegible] 2	**[illegible]** *([illegible])*
[illegible] (საბაზო საფეხური)	☐ [illegible] ■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.1	■ [illegible]

კურიკულუმის შემუშავება	☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ [illegible] ■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible] ☐ [illegible]
[illegible] 2	**[illegible]** *([illegible])*
[illegible]	☐ [illegible]

(საშუალო საფეხური)	■ [illegible] □ [illegible] □ [illegible]
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ [illegible] □ [illegible] □ [illegible] □ [illegible]
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	□ [illegible] ■ [illegible] □ [illegible] L. □ [illegible]
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ [illegible] □ [illegible] □ [illegible] □ [illegible]
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ [illegible] □ [illegible] □ [illegible]

	□ □□ □□□□□□□□□□□□

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N31 ბრძანებით 2025 წლის 5 სექტემბერს. დოკუმენტში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე: რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი; სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები; პროცესში ჩართული მხარეები; ძირითადი პროცესები: კავშირი სხვა პროცესებთან. კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე, მათი ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მისი შემუშავების პროცესში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება ეფუძნება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლობას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ მათ აქტიურ ჩართულობას, თანამშრომლობის ინტენსიურ ფორმებსა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობას. მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, რომ ისინი კმაყოფილნი არიან სასკოლო კურიკულუმით და დადებითად აფასებენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. სკოლაში ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრის შიგნით, ასევე კათედრებს შორის, თანამშრომლობა აქტიურ და სისტემურ ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, მშობლები და მოსწავლეები ინტერვიუების დროს აღნიშნავენ თავიანთ აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მათ შორის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების როლებსა და ვალდებულებებს. კურიკულუმის დაგეგმვა მოიცავს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის განსაზღვრას და მისი ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების წინასწარ დაგეგმვას. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ პროცესში ჩართულია კათედრის ყველა მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს კოლეგიურ და შეთანხმებულ მუშაობას. პედაგოგებს ეკისრებათ ვალდებულება, გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ და ერთობლივად დაგეგმონ შესაბამისი საგანმანათლებლო მიდგომები კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით.

სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე:

- თემებისა და შესაბამისი ქვესაკითხების განსაზღვრა, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნებების გააზრებასა და საფეხურის შედეგების მიღწევას;
- კომპლექსური დავალებების შერჩევა თემატური ერთეულების ფარგლებში;
- ძირითადი და დამხმარე რესურსების განსაზღვრა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესისთვის;
- შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის დაგეგმვა ხორციელდება კათედრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე და არ წარმოადგენს ინდივიდუალური მასწავლებლის საქმიანობას.

ამასთან, როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტიდან, ასევე ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები და მათი მშობლები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ინკლუზიურობასა და მის შესაბამისობას სასკოლო საზოგადოების საჭიროებებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემოწმებული კურიკულუმების ანალიზის და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო მიმართულების კათედრა მუშაობს შეთანხმებულად, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ხედვებს და იყენებენ თავიანთ პრაქტიკაში, ისწრაფვიან სწორად დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და გახადონ ეს პროცესი ინკლუზიური, მოტივირებულები არიან და ცდილობენ

	ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საინტერესო გახადონ მათთვის ეს პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** **რჩევა**: ბუნებისმეტყველებაში სასურველია მოხდეს სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოების ინიციალიზაცია, ანუ მიეთითოს შესაბამისი საგნის პედაგოგის სახელი და გვარი, გაიწეროს თემებთან დაკავშირებული საათობრივი დატვირთვა თითოეულ საგანთან მიმართებაში;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილია სამივე საფეხურის კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა საგანში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა). კურიკულუმში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა კურიკულუმის განვითარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, სამივე საფეხურზე (მე - 5 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით) მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში).

	სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ სამივე საფეხურზე მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. სამივე საფეხურზე კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით, ელექტრონული რესურსების ბმულები ჩასმულ იქნას საკითხების სახელწოდებების მითითებით.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა სამი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო გაწერილი სასწავლო წელზე თემების მიხედვით. კურიკულუმის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა თუ როგორ დაგეგმოს, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. კათედრას აქვს მზაობა, მრავალფეროვანი გახადოს უცხოური ენების სწავლა-სწავლების პროცესი, ხელს შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და უზრუნველყოს მათი აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმში(მუსიკა/ ხელოვნება) ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

	კურიკულუმში მოცემულია ის თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნას და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი სასწავლო ერთეულები მოსწავლის განვითარებასა და შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. **რჩევა:** საშუალო საფეხურზე ტერმინი „თემა“ ჩანაცვლდეს „ქვეთემით“, ასევე, შემუშავდეს ერთნაირი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო, მასწავლებელთა შეთანხმების საფუძველზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილია საგნობრივი

	სტანდარტებით გათვალისწინებული აუცილებელი თემები და საკითხები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **<u>რჩევა:</u>** პედაგოგებმა კურიკულუმებს შედგენისას ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, დაწყებითი კლასების (1-ელი, მე-2 და მე-3 კლ) კურიკულუმებში , გრაფაში ,,კონტექსტ-მაგალითი“ ასახულია საკითხები, აქტივობები, ან შემოქმედებითი დავალების იდეები. სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ სამივე საფეხურზე მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. (მე-12 კლასის კურიკულუმში სრულად ცარიელია გრაფა ,, შემოქმედებითი დავალების იდეა“)

	კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს შემოქმედებითი დავალების იდეები, ან შემოქმედებითი დავალების ბარათები დაერთოს დანართებად საგნობრივ კურიკულუმებს. ყურადღება მიექცეს ელექტრონული რესურსების უფრო ხშირ გამოყენებას სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, ასევე, კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა თემის დამუშავებისათვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით, ხოლო ელექტრონული რესურსების ბმულები ჩასმულ იქნას საკითხების სახელწოდებების მითითებით.
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch

	პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის სწავლება. საკითხები დალაგებულია ისე, რომ მოსწავლისათვის შედეგის მიღწევა უფრო ხელსაყრელი იყოს. კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსურები, პროექტები ან სხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუკუმთან, რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე, (შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი ფოტო მასალა, შესრულებული დავალების ნიმუშები, რეფლექსიები.) **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული

	ქვეცნებები, თუმცა დავალების იდეა უფრო დაზუსტებულ აღწერას მოითხოვს და საჭიროებს ჩასწორებას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სრულყოფილად გაიწეროს კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საფეხურის სტანდარტის გათვალისწინებით, სწორად გაიწეროს დავალების იდეა;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეთათვის ფუნქციური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ამ მიზნით პედაგოგები ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, მათ შორის პროექტებს (სამივე საფეხურზე). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა**: სასურველია, სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.
უცხოური ენები	უცხოური ენის (პირველი და მეორე უცხოური ენები) კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა, ზოგიერთი კლასის კურიკულუმის ჩარჩო საჭიროებს შესწორებასა და უზუსტობების აღმოფხვრას.

	კერძოდ, საშუალო საფეხურზე, ინგლისური ენის XI კლასის კურიკულუმში დანართის სახით წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალების განხორციელების ეტაპები, სადაც შეტანილია საბაზო საფეხურის სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები. X კლასის კურიკულუმში UNIT 5: Right or wrong ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა არ შეესაბამება ძირითად საკითხს. X-XII კლასის კურიკულუმში არ არის შეტანილი კომპლექსური ტიპის დავალების იდეები. რუსული ენის XII, XI, X კლასის კურიკულუმში ზოგიერთი თემის ფარგლებში არ არის მითითებული ძირითადი საკითხი, თემა და ა.შ. მსგავსი უზუსტობებია საბაზო და დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** **რჩევა:** სრულად გაიწეროს კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები სამივე საფეხურის სტანდარტზე დაყრდნობით. შესასწავლი თემის ფარგლებში დაკონკრეტეს ძირითადი საკითხი, კომპლექსური დავალების იდეა. დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. კომპლექსური ტიპის დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში.
ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს

	აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. გარდა საგნობრივი ცოდნისა, არსებული კურიკულუმები წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლე განვითარდეს ჰოლისტურად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები. კურიკულუმებში თემები, დავალებებ დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარებ და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედურ მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეები. ინტერვიუ დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეთათვის ფუნქციურ უნარების განვითარების მნიშვნელობა და ამ მიზნით პედაგოგები ახორციელებენ პროექტებ (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტ მოთხოვნებს.**

სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას — გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ–უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge) **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია ისეთი ტიპის შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დავალებების სრულყოფილად ფლობისთვის ჩარჩოები გასამდიდრებელია ძირითადი და დამხმარე რესურსებით სხვადასხვა პლატფორმიდან, რათა უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლისათვის დავალების აღქმა; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** დავალებები გახადონ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით გაჯერებული, რათა მოსწავლემ შესასწავლი საკითხი სრულად აღიქვას;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები (მაგალითად: რუკა, სახელმძღვანელოს რვეული). ასევ წარმოდგენილია ელექტრონული რესურსები (სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით "მე და საზოგადოებაში"და "მოქალაქეობაში") . დასახელებულ რესურსებში იკვეთება მიზნობრიობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში ძირითადად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და ისეთი დამხმარე რესურსები, როგორიცაა სამუშაო რვეული, აუდიო მასალა. ასევე, ნაწილობრივ წარმოდგენილია ინტერნეტ რესურსები, ელექტრონული ბმულები. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ თემის

	მიზნიდან გამომდინარე თავად ქმნიან ელექტრონულ რესურსებს, სადაც იკვეთება მიზნობრიობა და აქტუალურობა. მასწავლებლები ცდილობენ, რომ მათ მიერ მოძიებული და შექმნილი რესურსი ორიენტირებული იყოს კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** **რჩევა:** კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით შეირჩეს მოსწავლეთა ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი რესურსები.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო მასალა და აქტივობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროცესში. ისინი არა მხოლოდ უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას, არამედ ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას. აღნიშნული რესურსები ქმნის პირობებს, რომ მოსწავლემ უკეთ გაიაზროს ესთეტიკური საკითხები, განივითაროს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	საგანმანათლებლო სხვადასხვა ტიპის რესურსი ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვასა და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს-

	გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, მატერიალურ რესურსებს- კომპიუტერებს, პროექტორს, პლაკატებს, გეომეტრიული სხეულების მოდელებს და სხვა. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც (ხანის აკადემია, ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge, ელექტრონული სახელმძღვანელო- მათემატიკური წიგნიერება და სხვა). ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში. ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ

	შემლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი სახელმძღვანელოები,სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. რომლის ვებ. გვერდებიც მოქმედია და ემსახურება სამიზნე ცნებების/ქვეცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გასაუბრებისას გაირკვა, რომ ბუნებისმეტყველების მიმართულებაში სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული დავალებები, რაც ხელს უწყობს პროცესის სინქრონიზაციას, თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ზოგჯერ უწევთ დავალებების შეცვლა მოსწავლეთა საჭიროებების და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქვთ დიფერენცირებული დავალებების შეთავაზების მიდგომები და მოდიფიცირებული რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი დავალების შესრულების დროს და საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. ისინი მოსწავლეს დამაზუსტებელ შეკითხვებს აძლევენ შესაძლებლობის ფარგლებში. კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში გაიწეროს დიფერენცირებული დავალებები (მაგ: მიეთითოს "საბაზისო დონის დავალება" და "გაღრმავებული დონის დავალება").
უცხოური ენები	სამივე საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დავალებები (მუსიკა/ხელოვნება) მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. შესაბამისად, ხორციელდება სამუშაო პირობების შეგნებული მოდიფიცირება, სირთულის ხარისხის რეგულირება და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით შესაბამისი რესურსების შერჩევა.

	ამასთან, ხელოვნებისა და მუსიკის სასწავლო პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ შეთავაზებული აქტივობები გამოირჩევა მრავალმხრივი და ინტეგრირებული ხასიათით. ეს თავის მხრივ მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ცოდნა, შეხედულებები და დამოკიდებულებები გამოხატონ მათთვის მისაღები და კრეატიული ფორმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. სკოლას აქვს რემედიაციული პოლიტიკაც გატარებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. დანართის სახით წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მე-7 კლასისათვის, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით, ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რაც მოიაზრებს იმას, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

	რჩევა: დოკუმენტი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული

	მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრა ერთობლივად მუშაობს შეფასების ფორმების შექმნასა და დახვეწაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან ბუნებისმეტყველების მიმართულებაში, კარგი იქნება, საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს . ბუნებისმეტყველებაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას გაითვალისწინონ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს. ასევე სასურველია მუშაობა გაგრძელდეს შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში, სამივე საფეხურზე გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების რუბრიკები მოწოდებულია სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დრს აღნიშნეს, რომ მოსწავლეტა შესაფასებლად ისინი ატარებენ რეიტინგულ წერებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები კონკრეტული თემის და საკითხის მიმართებაში. შეფასების კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად იხელმძღვანელონ სტანდარტით.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით და შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. რუბრიკის შედგენისას მნიშვნელოვანია ხარისხობრივი დონეების რაოდენობის სწორად განსაზღვრა. სასურველია, იმდენი დონე გამოიყოს, რომ მათ შორის ხარისხობრივი

	განსხვავება მკაფიოდ აღიქმებოდეს. შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები ერთნაირად უნდა იყოს ფორმულირებული, ხოლო სხვაობები - შესაბამისი ტერმინებით/ფრაზებით გამოკვეთილი.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების პრაქტიკა. ისინი შეფასების პროცესში იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, რომლებიც აგებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების პრაქტიკა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. სკოლაში იყენებენ ანალიტიკური ტიპის შეფასების რუბრიკებს, იშვიათად ჰოლისტურსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების ორივე ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი, მოწოდებულია სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუბრიკები ძირითადად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის

	გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს. დიაგნოსტიკური შეფასება მიმართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, დასასრულს და ასახულია დიაგნოსტიკური ტესტის ანალიზში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ასახულია სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაში, კერძოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში. ამის შესახებ ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუშიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს, ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მას აქვს მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნას

	ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, მსგავსი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოთ ახალი დავალებები და აქტივობები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- რამდენიმე კომპლექსური დავალების ბარათი
- კომპლექსური დავალების დანართი
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლიგია
- შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები
- დიფერენცირებული მიდგომით შესრულების აქტივობების ამსახველი მასალა-მე-8 კლასი ,,პითაგორას სამყარო“
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა მათემატიკა- ხელოვნება VI კლასი
- ისგ-მე-7 კლასისათვის
- დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა
- სასწავლო პროცესის შეფასება (კოლეგის უკუკავშირი)
- პროექტი ,,მათემატიკა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში“- VI კლასი
- პროექტი ,,ჩემი იდეალური სახლის პროექტი” –VIII კლასი
- პროექტი კვლევა ,,აშშ-ის განვითარების დინამიკა 1860 წლის შემდეგ“
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც სასწავლო პროცესს თანმიმდევრულს და მიზნობრივს ხდის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამას ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები და შესაბამისი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** **რჩევა** - სასურველია, საშუალო საფეხურზე, უცხოური ენის კათედრამ დაგეგმოს და განხორციელოს საგანთაშორისი აქტივობები, სასწავლო პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის ფარგლებში გაწერილია მუსიკისა და ხელოვნების თემებზე ადაპტირებული, კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომელთა განხორციელება რეალურად მოხდა საგაკვეთილო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასში დაცული მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები ამ პროცესის ნათელი დასტურია. ამრიგად, კურიკულუმი არა მხოლოდ ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, არამედ უზრუნველყოფს მათი ეფექტიანი რეალიზებას პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა მასწავლებლები სიტუაციურად ართულებენ ან ამარტივებენ სასწავლო პროცესში აქტივობებს, საკითხებსა და დავალების პირობებს. იშვიათად იცვლება პროდუქტის ერთი სახე მეორეთი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემას, საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური ტიპის დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს პროცესში

	გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, და ასწავლიან შესაბამისად დაგეგმილი თემატური ერთეულების თანმიმდევრობით. საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმები იგეგმება წინა სასწავლო წლის გამოცდილებისა და გამოვლენილი საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. სკოლაში ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სასწავლო აქტივობებს გეგმავენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მიუთითებს სწავლების პროცესის ადაპტირებასა და მოქნილობაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპებს, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, მათი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, შეფასების რუბრიკები ეყრდნობა მიღწევათა ინდიკატორებს; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების ფორმებს აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე წლის დასაწყისში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია კონკრეტული თემისთვის მომზადდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ჩართულობას, წაკითხულის გააზრებას, მოსმენილის გაგებას, მეტყველებას, წერის უნარებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

	რჩევა: სასურველია, შემაჯამებელი სამუშაოს დავალების თითოეულ ტიპს ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა და მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის ფარგლებში გაწერილია მუსიკისა და ხელოვნების თემებზე ადაპტირებული, კომპლექსური ხასიათის დავალებები, რომელთა განხორციელება რეალურად მოხდა საგაკვეთილო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასში დაცული მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები ამ პროცესის ნათელი დასტურია. ამრიგად, კურიკულუმი არა მხოლოდ ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, არამედ უზრუნველყოფს მათი ეფექტიანი რეალიზებას პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლამ წარმოადგინა შეფასებათა რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა მიღწევათა ინდიკატორებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) რუბრიკები ძირითადად შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა საჭიროებს მეტ ჩაშლას , შესაბამისობაში მოყვანას და მორგებას კონკრეტულ თემასთან,

	სამიზნე ცნებებთან, სტანდარტის შედეგებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებელი შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობს მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო

	სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები. შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან , თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ , რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის მიზანია უზრუნველყოს შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა.

სკოლის მიერ შემუშავებულ ვერიფიკაციის დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის წესები და პროცედურები, კერძოდ:

- შეფასების განხორციელებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე მასწავლებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარუდგენს/უგზავნის შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს;
- წარმოდგენილი ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებენ შესაბამისი ვალიდაციის ჯგუფის წევრები;
- ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებითა და შენიშვნებით უბრუნდება მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია;
- შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი, შესაბამისი აღნიშვნით („შეთანხმებულია“) და მინიმუმ ორი ვალიდატორის ხელმოწერით, გამოიყენება მოსწავლის შეფასების პროცესში.

აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურობასა და ხარისხიან განხორციელებას, რაც ზრდის შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრები სისტემურად ინახავენ მოსწავლეთა ნამუშევრებს შესაბამის საქაღალდეებში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დოკუმენტირებასა და გადამოწმებადობას. ამასთან, დამრიგებლები აწარმოებენ მოსწავლეთა პირად საქმეებს, სადაც ასახულია მათი წლიური შეფასებები და აკადემიური პროგრესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები
- დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა
- საწრეო მუშაობის მასალები IV კლასისათვის
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა
- განხორციელებული პროექტები
- კათედრის სხდომის ოქმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების უმეტესობაში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ძირითად რესურსად სახელმძღვანელოს კონკრეტული გვერდებია მითითებული, დამხმარე

	რესურსებად კი სხვადასხვა ონლაინ რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემას შეესაბამებოდეს ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების მატერიალური ჩამონათვალი და ონლაინ რესურსების გააქტივებული ლინკები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენება. ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს, კურიკულუმში ჩაშენებულია ელექტრუნული რესურსებიც, აუდიო და ვიდეო მასალებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ტელესკოლის რესურსს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას. კათედრას აქვს მზაობა შეარჩიონ დამხმარე რესურსები, რომლებიც კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალები და დამხმარე საშუალებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვაში და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული რესურსები მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კურიკულუმში დეტალურად არის მითითებული სასწავლო რესურსები, რაც ამარტივებს სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და განხორციელებას. რესურსების წინასწარ განსაზღვრა მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მიზანმიმართულად დაგეგმოს გაკვეთილები, ეფექტიანად შეარჩიოს შესაბამისი აქტივობები და შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. შედეგად, სწავლა-სწავლების პროცესი ხდება უფრო ორგანიზებული, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმის გაცნობისა და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები შეძლებისდაგვარად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა

	ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. დამხმარე სასწავლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები შეძლებისდაგვარად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი, მაგრამ არ აქვს სპორტული დარბაზი, რაც თავის მხრივ შეფერხებაა ზამთრის და უამინდობის პირობებში, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დაუბრკოლებლად, ამასთან დაკავშირებით პედაგოგმა გასაუბრების დროს დააფიქსირა, რომ ამ საკითხის მოგვარების მიზნით არის მზადყოფნა სკოლის ადმინისტრაციის და შესაბამისი უწყებების მხრიდან, რათა მოკლე ხანში მოგვარდეს სკოლაში სპორტული დარბაზის არსებობის საკითხი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **რჩევა**: გამომდინარე სკოლაში სპორტული დარბაზის არ არსებობიდან, პედაგოგს მიეცა რჩევა, კურიკულუმები დაიტვირთოს და გაძლიერდეს თეორიული კომპონენტებით, კერძოდ: ოლიმპიზმით, ქართული ეროვნული სპორტის სახეობების ისტორიით, ჯანსაღი ცხოვრების წესის და მავნე ჩვევების პრევენციის მიმართულებით, რაც პედაგოგს მისცემს მარტივად ლავირების საშუალებას საკლასო სივრცეში (რაც ხშირი შემთხვევა იქნება ზამთრის და უამინდობის პირობებში) დაგეგმოს და წარმართოს საგაკვეთილო პროცესი.

ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ლაბოლატორია) რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც (დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები) მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სკოლას მითითებული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები მიჰყვება ძირითად რესურს სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია სტანდარტის თემებთან. ძირითადი სახელმძღვანელობის გარდა, შემოქმედებითი დავალების განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტორნულ რესურს, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის კოლეგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი რესურსების არჩევისას კათედრაზე პირველი სხდომისას არჩევენ ვალიდურ სასწავლო რესურსებს, რომელთა ჩამონათვალსაც ათანხმებენ ერთმანეთთან. რესურსი უმეტესწილად არის მიზნობრივი, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო მიზნების მოთხოვნების უკეთ გააზრებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. საზოგადობერივი მეცნიერებების კათედრის მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. ამას ადასტურებს წარმოდგენილი მასალაც (შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ფლობენ რესურსის შერჩევის სტრატეგიებს და ყურადღებას აქცევენ სანდოობას, მოქნილობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების კათედრებზე მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია სწავლა-სწავლების პროცესში და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. აღნიშნული სისტემა ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ვალიდურობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასალები აჩვენებს, რომ პედაგოგები ეფექტიანად და აქტიურად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და შეფასების რუბრიკებს, მრავალფეროვან მიდგომებს და თანმიმდევრულად მუშაობენ შეფასების პრაქტიკისა და კრიტერიუმების

	შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმი წარმოაჩენს იმ ტიპის რესურსებს, რომლებიც სრულად შეესაბამება ცნებების, თემების/ქვეთემებისა და საკითხების შესწავლის ეფექტიანობას. საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში ამატებენ მასწავლებლები შესაბამის რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმი ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათ პრაქტიკულ გამოყენებადობასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე ადაპტირების ხარისხს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას არ აქვს კაბინეტი, აქვს მწირი მატერიალური რესურსები, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მცირე რესურსებით, იაფი მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 30 დეკემბრამდე) მოაწყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, შეიძინოს საჭირო ინვენტარი. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. სასკოლო გარემო, სახელმძღვანელოები, რესურსები და სასწავლო სივრცე, შესაბამისობაშია კლასში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, პროექტები ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული შედეგების მიღწევას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ მუსიკა/ხელოვნების მიმართულებით სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას ხელს უწყობს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური რესურსები. არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებულ, მოწესრიგებულ და ხარისხიან წარმართვას, საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რათა სწავლება განხორციელდეს ეფექტიანად და შეესაბამებოდეს როგორც პროგრამულ მოთხოვნებს, ისე საგნობრივ თავისებურებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები,

	რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	სკოლას აქვს მწირი სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, მაგრამ გამომდინარე აქედან პედაგოგის საგაკვეთილო პროცესის სწორი დადგეგმვით დაუბრკოლებლად ხორციელდება საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, ამ მიმართულებით 2.2.2. 1-ში სპორტის მიმართულებით ექსპერტის მხირდან გაიცა რჩევა, რაც დაეხმარება პედაგოგს გამოწვევის დაძლევაში და უფრო მეტი საშუალებების გაჩენაში საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის და წარმართვის პროცესში. გამომდინარე აქედან, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებლების პირადი საქმეების გაცნობისა და ელექტრონული პორტალის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში ყველა მასწავლებელს აქვს სერთიფიკატი იმ საგანში/საგნობრივ ჯგუფში, რასაც სკოლაში ასწავლის. ყველა მასწავლებელებელს აქ შესაბამისი სტატუსი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

- სასწავლო რესურსების ნიმუშები დაწყებითი კლასებისათვის
- შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები
- დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე და ატარებს სისტემურ და უწყვეტ ხასიათს. დაკვირვებას ახორციელებენ როგორც სკოლის დირექტორი, ასევე კათედრის თავმჯდომარეები, რაც უზრუნველყოფს პროცესის მრავალმხრივ შეფასებას. საგნის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყოველ სემესტრში რეგულარულად ტარდება გაკვეთილებზე დაკვირვება, ხორციელდება მიღებული შედეგების სიღრმისეული ანალიზი და იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მიღებული ინფორმაცია სისტემატურად აისახება კათედრის ანგარიშებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტ მონიტორინგსა და მიღებული შედეგების გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და გაუმჯობესების საჭიროებები განიხილება კათედრებზე. შემუშავებულია შესაბამისი ღონისძიებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემების დროულ აღმოფხვრას. კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლებთან თანამშრომლობით, კათედრის შეხვედრებზე განიხილავენ მიღებული მონაცემების ანალიზს და უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. პროცესი დაფუძნებულია უკუკავშირის მექანიზმზე, რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს მიზნობრივად გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის პროცესი ორიენტირებულია პედაგოგთა მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. მონიტორინგის ძირითადი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. სკოლა უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას როგორც კათედრის შიგნით, ასევე კათედრებს შორის, რაც ხელს უწყობს კოლეგიალური თანამშრომლობის გაძლიერებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელი ტიპის შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების მრავალმხრივ ანალიზს. საგნობრივი კათედრების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ზოგადი ნიმუშები სხვადასხვა საგნისთვის. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას. ამასთანავე, რუბრიკები ადაპტირებულია კომპლექსურ და შემოქმედებით დავალებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

კათედრებმა სამივე საფეხურზე წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭვირვალე შეფასებას. დეტალურად არის გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი ქულობრივი განაწილებით. ზოგად რუბრიკებთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტული თემების შეფასების სქემებიც, რომლებიც მორგებულია სამიზნე ცნებებს. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში (I-VI კლასები) შემოთავაზებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. პედაგოგებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ სისტემატურად უზრუნველყოფენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ვერიფიკაციის დებულებაში განსაზღვრულია, რომ მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (სხვადასხვა ტიპის პროდუქტებზე დაყრდნობით, როგორიცაა ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი და სხვა); შეფასების პროცესის ვერიფიკაცია (ფაქტობრივი გარემოებები, დროითი რესურსი, სამუშაო გარემო, წინასწარი ინფორმირებულობა და სხვ.); ასევე მტკიცებულებების ვერიფიკაცია (მოსწავლის მიერ შექმნილი ნამუშევრების ანალიზი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მონაცემთა მრავალმხრივ შეგროვებასა და შეფასების სანდოობას. შესაბამისად, სკოლა შეფასების პროცესში იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. პედაგოგები აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას. შეფასების რუბრიკები სრულად არის შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან და მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ კომპონენტებს. ვერიფიკაციის წესის მიხედვით, შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ეფექტიანობასა და სანდოობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის დებულება;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში ვიზიტის ფარგლებში, საგნის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები ახორციელებენ თვითშეფასებას, რომლის ფარგლებში აანალიზებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ასევე გასაუმჯობესებელ მიმართულებებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის საქმიანობა. კათედრების შეხვედრების ოქმების შესწავლით დასტურდება, რომ სისტემატურად განიხილება აქტუალური საკითხები და შესაბამისად ხდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კათედრები სისტემატურად ახორციელებენ კურიკულუმის შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ რევიზიას. საჭიროებების შესაბამისად ხორციელდება აქტივობებისა და სასწავლო რესურსების განახლება, დამატება ან მოდიფიცირება. აღნიშნული ცვლილებები ეფუძნება როგორც წინარე გამოცდილების ანალიზს, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ამასთან, კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი გაწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი:10.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: